თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №6

თბილისი, 6 ოქტომბერი, 2025 წ.

სხდომა დაიწყო: 11:11 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომ – კომისია) წევრები:

- პაატა სალია – კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი;
- ლანა მორგოშია – კომისიის მდივანი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- ალექსანდრე დარახველიძე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;
- ავთანდილ კოჭლამაზიშვილი – საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე;
- მიხეილ დუნდუა – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;
- გრიგოლ გიორგაძე – საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე;
- გიორგი ცაგარეიშვილი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე;
- ნინო ენუქიძე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე;
- ნინო თანდილაშვილი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე;
- ილია ბეგიაშვილი – ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე;
- გოგი ჩიქოვანი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი;
- ქეთევან გოგელაშვილი – კულტურის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, წარმოდგენილი კულტურის მინისტრის მოადგილის ნაცვლად;

- თამარ მემანიშვილი – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი, წარმოდგენილი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილის ნაცვლად;
- გოგა ტაბატაძე – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის უფროსი, წარმოდგენილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ნაცვლად;
- ნიკოლოზ როსებაშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, წარმოდგენილი საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილის ნაცვლად;
- ლევან ჩარგაზია – საქართველოს სპორტის სამინისტრო – იურიდიული სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი), წარმოდგენილი საქართველოს სპორტის მინისტრის მოადგილის ნაცვლად;
- გიორგი შარაბიძე – ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ლანა ბათლიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე);
- მარიამ ნიშნიანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- ანა აფრიდონიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) იურისტი.

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

1. ბექა ზეგარდელი – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი;
2. გიორგი სანტურიანი – ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის უფროსი/იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- დანიელ დავითაშვილი – ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარე;
- გრიგოლ გაგნიძე – ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“;
- დავით ლილუაშვილი – ა(ა)იპ „დემოკრატიისა და უფლებების დაცვის ცენტრი“;
- მაია ხარაძე – ა(ა)იპ „მასმედიისა და უფლებების დაცვის ცენტრი“;
- შორენა მირცხულავა – ა(ა)იპ „ასოციაცია თავისუფალი თაობა“;

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- დავით მათიკაშვილი – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა პაატა სალიამ, სხდომის გახსნის შემდგომ კომისიის წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის გახსნა;
2. მედიამონიტორინგის საფუძველზე იდენტიფიცირებული და კომისიის სამდივნოში შემოსული საკითხების განხილვა;
3. კითხვა-პასუხი.

ბატონმა პაატა სალიამ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ მიმდინარეობს სხდომის აუდიოჩაწერა სხდომის ოქმის სათანადო დონეზე მომზადების მიზნით. უპირველესად, მან მიულოცა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარება და მადლობა გადაუხადა ამისთვის. ამის შემდეგ, დღის წესრიგის შესაბამისად, იგი გადავიდა კომისიის სამდივნოში შემოსულ განცხადებათა განხილვაზე.

პირველი საკითხი შეეხებოდა პარტიის „გახარია – საქართველოსთვის“ წარმომადგენლის განცხადებას, რომელიც მოწოდებულ იქნა კომისიის წინა სხდომის დაწყებამდე და შეეხებოდა თბილისსა და სხვადასხვა მუნიციპალიტეტში საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შესაძლო შემთხვევებს. ბატონმა პაატა სალიამ აღნიშნული განცხადების განხილვა დაიწყო თბილისის

მუნიციპალიტეტთან მიმართებით და ამ საკითხზე სასაუბროდ სიტყვა გადასცა ბატონ გოგი ჩიქოვანს (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი).

ბატონი გოგი ჩიქოვანმა (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის უფროსი) კომისიას მოახსენა, რომ საჩივარში ჩამოთვლილი იყო რამდენიმე პროექტი, რომელთა დასრულებასა და გახსნის ღონისძიებაში თბილისის მეროზის კანდიდატი მონაწილეობდა. ამასთან, მისი თქმით, საარჩევნო კოდექსი თბილისის მერს, მიუხედავად მეროზის კანდიდატობისა, წინასაარჩევნო პერიოდში არ უზღუდავს თავის უფლებამოსილებას. შესაბამისად, ის სრულფასოვანი უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობდა თბილისის მერიის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებაში. ამავე საკითხთან დაკავშირებით ბატონმა გოგიმ განაცხადა, რომ ყველა აღნიშნული პროექტი საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე, წლის დასაწყისშივე იყო ბიუჯეტით გათვალისწინებული. მათგან გარდამავალ პროექტებზე შესყიდვის პროცედურები გაცილებით ადრე განხორციელდა. შესაბამისად, ზემოაღნიშნული პროექტები რეალიზდებოდა მიმდინარე პროგრამების ფარგლებში და მათგან არცერთი ყოფილა წინასაარჩევნო აგიტაციის ფარგლებში დაწყებული ინიციატივა, რომელზეც ვრცელდება შეზღუდვა. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ძირითადად, საუბარი იყო ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და რამდენიმე სოციალურ ინიციატივაზე, რომლებიც გათვალისწინებული იყო მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტით; მათ შორის, 100 წელს მიღწეულ პირთათვის 10 000 ლარის გადაცემაზე, რომელიც გათვალისწინებული და თბილისის საკრებულოს მიერ ნორმატიული აქტით დამტკიცებული იყო იანვარში. ამასთანავე, ბატონმა გოგიმ ყურადღება გაამახვილა სხვა, მათ შორის, გამგეობის პროექტებსა და იმ პროექტებზე, რომლებსაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი „თბილისის განვითარების ფონდი“ ახორციელებს და აღნიშნა, რომ ესეც გათვალისწინებული იყო ბიუჯეტით.

ამის შემდეგ ბატონმა გიორგი სანტურიანმა (ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის უფროსი/იურიდიული დეპარტამენტის უფროსი) მადლობა გადაუხადა კომისიის თავმჯდომარეს არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარების მილოცვისთვის და კომისიას გაუზიარა ის მონაცემები, რომლებიც იმ მომენტისთვის ჰქონდა საარჩევნო ადმინისტრაციას. მომხსენებლის განცხადებით, საარჩევნო ადმინისტრაციამ ქვეყნის მასშტაბით უკვე მეორედ ჩაატარა არჩევნები, როდესაც სამი ტექნოლოგია დაინერგა ისე, რომ არცერთი საარჩევნო უბანი ტექნოლოგიური კენჭისყრიდან ე.წ. ტრადიციული კენჭისყრის პრინციპზე არ გადასულა. ყველა უბანზე ტექნოლოგიამ იმუშავა. აღინიშნა, რომ ეს ფაქტი ადმინისტრირების თვალსაზრისით, როგორც 2024 წლის არჩევნებზე, ისე მიმდინარე წლის მუნიციპალურ არჩევნებზე, მიღწევასა და ერთ-ერთ საუკეთესო გამოცდილებას წარმოადგენს საარჩევნო ადმინისტრაციების პრაქტიკაში. რაც შეეხება დავებს, ამ თვალსაზრისით

ბატონმა გიორგი სანტურიანმა განაცხადა, რომ ძალიან მცირეა ამ მომენტისთვის წარდგენილ სარჩელთა რიცხვი. განცხადება/საჩივრით მიმართვის ვადა ჯერ კიდევ არსებობს, თუმცა, ამ ეტაპზე წარდგენილი საჩივრები გავლენას ვერ მოახდენს არჩევნების შედეგებზე. მან კომისიას მოახსენა, რომ ამ დროისთვის სულ წარდგენილია 25 საჩივარი, რომლებიც არსებით საკითხებს არ შეეხება.

ბატონმა გიორგი სანტურიანმა ისაუბრა ზემოაღნიშნული განცხადების შესახებაც. მან ყურადღება გამახვილა წინა სხდომის ფარგლებში განხილულ ბატონი გიორგი ლილუაშვილის (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება – „პარტია საქართველო“) სარჩელზე, რომელიც შეეხებოდა ბატონი კახა კალაძის („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თბილისის მერობის კანდიდატი) მონაწილეობას სხვადასხვა მუნიციპალურ პროექტში. ამავე საკითხზე ორი სარჩელი იქნა სასამართლოში წარდგენილი, რომლებიც არ დაკმაყოფილდა შემდეგი მოტივებით: პირველი – მასზედ, რომ მუნიციპალიტეტის მერს არ მოეთხოვება უფლებამოსილების შეწყვეტა და, შესაბამისად, არა მხოლოდ თბილისის, არამედ სხვა მუნიციპალიტეტის მერებსაც შეეძლოთ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელება წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში. ამავდროულად, თუ ეს პროექტები დაგეგმილი იყო ბიუჯეტით საარჩევნო პერიოდამდე, ამ თვალსაზრისით საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებთან წინააღმდეგობა არ დგებოდა. მან მოცემულ საკითხთან მიმართებით გაიზიარა თბილისის მერიის მიერ წარმოდგენილი კომენტარი.

ამავე განცხადების ფარგლებში სხვა მუნიციპალიტეტებთან (ქუთაისი, დმანისი, სიღნაღი, რუსთავი, კასპი) დაკავშირებით ბატონმა პაატა სალიამ სიტყვა გადასცა ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს (საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი).

ბატონი ნიკოლოზი თავდაპირველად შეეხო ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკითხს და კომისიას მუნიციპალიტეტიდან მიღებული ინფორმაცია მიაწოდა. მისი თქმით, საკითხი შეეხებოდა ქალბატონ იზოლდა ნემსაძეს, რომელიც გახლდათ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი მაჟორიტარი წევრი, საკრებულოს თანამდებობის პირი. ის საკრებულოს წევრი არის 2017 წლიდან. დამკვიდრებული ყოველწლიური ტრადიციის შესაბამისად, მას სკოლაში დაგეგმილი ჰქონდა სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით პირველკლასელთათვის მილოცვა (უკვე 10 წელია, რაც ის ტყიბულის მუნიციპალიტეტში პირველკლასელებს ყოველწლიურად ულოცავს სასწავლო წლის დაწყებას). ბატონმა ნიკოლოზმა განმარტა, რომ წარმოდგენილ ინფორმაციაში არსად ფიქსირდება მილოცვის დროს საარჩევნო სააგიტაციო მასალის გამოყენება ან შესაბამისი მიმართვა და არ არსებობს დამადასტურებელი ფაქტი. შესაბამისად, ქალბატონი იზოლდა ამ ღონისძიებაში მონაწილეობდა როგორც საკრებულოს მაჟორიტარი და თანამდებობის პირი.

რაც შეეხება სიღნაღის საკითხს, ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა განაცხადა, რომ აქ ინფორმაცია შეეხებოდა მერობის კანდიდატის, ბატონი მალხაზ ბეგიაშვილის, რამდენიმე შეხვედრას. პირველი მათგანი იყო სიღნაღის მუნიციპალიტეტის ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოება. ბატონმა ნიკოლოზმა მუნიციპალიტეტის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განაცხადა, რომ ბატონი მალხაზ ბეგიაშვილი წარმოადგენს როგორც მოქმედ მერს, ისე მერობის კანდიდატს და ის, როგორც მოქმედი მერი, უფლებამოსილებების ფარგლებში ესწრებოდა აღნიშნულ ღონისძიებას, რომელიც მუნიციპალიტეტში ატარებს ყოველწლიურ ხასიათს და არანაირად არ უკავშირდება საარჩევნო პერიოდს. ამასთან, დაამატა, რომ გამცხადებლის მიერ წარდგენილ ინფორმაციაში (როგორც ვიდეო-, ისე ფოტომასალაში) სააგიტაციო მოწოდებები ან სააგიტაციო მასალის გამოყენება არ ყოფილა.

მეორე საკითხი შეეხებოდა ისევ ბატონი მალხაზ ბეგიაშვილის მიერ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის განვითარების განყოფილების ორგანიზებით მოწყობილ ღონისძიებაზე ბიზნესის წარმომადგენლებთან შეხვედრას. ამ საკითხთან მიმართებით ბატონმა ნიკოლოზმა განაცხადა, რომ 2025 წლის 23 სექტემბერს სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოციალურ ქსელში – „Facebook“ გვერდზე განთავსდა ინფორმაცია, სადაც ხაზგასმით იყო მითითებული, რომ მალხაზ ბეგიაშვილმა ტურისტული ბიზნესის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა როგორც მოქმედმა მერმა და არა როგორც მერობის კანდიდატმა. ამასთან, ამავე საკითხზე დამატებით აღნიშნა, რომ განთავსებულ ფოტომასალაში კარგად ჩანან მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებიც, რაც ადასტურებს, რომ ეს იყო სამუშაო შეხვედრა და არა წინასაარჩევნო კამპანია. აღნიშნულ ღონისძიებაზე სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ტურიზმის, საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პროექტების განყოფილებამ წარადგინა პრეზენტაცია სიღნაღში ტურიზმის განვითარების შესახებ. შესაბამისად, ამ შეხვედრაზეც სააგიტაციო მასალას ან მოწოდებას ადგილი არ ჰქონია.

მესამე შეხვედრა კი, შეეხებოდა ბატონი მალხაზ ბეგიაშვილის შეხვედრას „ენერგო-პრო ჯორჯიას“ სიღნაღის მომსახურების ცენტრის თანამშრომლებთან. ამ საკითხთან დაკავშირებით ბატონი ნიკოლოზი მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე აღნიშნავს, რომ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მიერ მალხაზ ბეგიაშვილი, როგორც სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი, სარეგისტრაციოდ შესაბამის კომისიაში წარდგენილ იქნა 4 სექტემბერს, ხოლო შეხვედრა, რომელსაც განცხადებაში წარმოდგენილი ფოტომასალა შეეხება, გაიმართა 1-ელ სექტემბერს. შესაბამისად, ამ დროს მალხაზ ბეგიაშვილი არ იყო მერობის კანდიდატი; აქვე, დამატებით ხაზი გაუსვა იმ საკითხს, რომ, მიუხედავად ამისა, ბატონი მალხაზ ბეგიაშვილი, როგორც სიღნაღის მუნიციპალიტეტის

მოქმედი მერი, საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, უფლებამოსილი იყო, მიეღო მონაწილეობა მსგავსი ტიპის შეხვედრაში. ამასთანავე, „ენერგო-პრო ჯორჯია“ არის კერძო სამართლის იურიდიული პირი და იგი არ წარმოადგენს სახელმწიფო ან თვითმმართველობის ორგანოს, სადაც აკრძალულია წინასაარჩევნო შეხვედრები. შესაბამისად, ბატონ მალხაზ ბეგიაშვილს ამის უფლებამოსილება ჰქონდა.

შემდგომ ბატონმა ნიკოლოზმა ისაუბრა დმანისის მუნიციპალიტეტის შესახებ განცხადებაში აღნიშნულ საკითხებზე, რომლებიც შეეხებოდა მოქმედი მერისა და მერობის კანდიდატის რამდენიმე შეხვედრას. პირველი საკითხი იყო „დმანისობის“ დღესასწაულზე დასწრება. მომხსენებლის განმარტებით, „დმანისობა“ არის სახალხო დღესასწაული, რომელიც წარმოადგენს ტრადიციას და ყოველწლიურად იმართება. მის ორგანიზებას ახორციელებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არაკომერციულ იურიდიულ პირებთან ერთად, რაც მუნიციპალიტეტის შესაბამის პროგრამულ ბიუჯეტშია გათვალისწინებული. მისი თქმით, ამავე ღონისძიების ფარგლებში მუნიციპალიტეტისა და მოქალაქეების წინაშე გაწეული ღვაწლისა და დამსახურების აღიარება-დაფასების მიზნით შესაბამის პირებს ტრადიციულად გადაეცემათ ჯილდოები და წოდებები. ბატონმა ნიკოლოზმა განაცხადა, რომ აღნიშნულ ღონისძიებას დმანისის მერი ესწრებოდა არა როგორც დმანისის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი, არამედ როგორც დმანისის მუნიციპალიტეტის მოქმედი მერი.

მეორე საკითხი შეეხებოდა ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შეხვედრას. ბატონი ნიკოლოზის თქმით, მსგავსი ტიპის შეხვედრები წელიწადში რამდენიმეჯერ ხორციელდება საბავშვო ბაღების ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, რაც თანხვედრაშია მუნიციპალიტეტის მერის სამსახურებრივ უფლებამოსილებებთან და წინასაარჩევნო კამპანიასთან კავშირი არ აქვს. მან დამატებით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ფოტო- ან ვიდეომასალაზე სააგიტაციო მოწოდებები არ იკვეთება.

ბატონმა ნიკოლოზმა ყურადღება გაამახვილა დმანისის მუნიციპალიტეტში სკოლებში სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებულ შეხვედრებთან მიმართებით. მისივე თქმით, დმანისის მუნიციპალიტეტის მერმა საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელთან ერთად პირველკლასელებს მიულოცა სასწავლო წლის დაწყება. ამ შეხვედრაზეც დმანისის მუნიციპალიტეტის მერი იმყოფებოდა როგორც მოქმედი მერი.

განცხადებაში მოხსენიებული ბოლო საკითხი დმანისის მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით შეეხებოდა მერის შეხვედრას მუნიციპალიტეტის არაკომერციულ იურიდიულ პირებთან, მათ დირექტორებსა და თანამშრომლებთან. ბატონი ნიკოლოზის თქმით, ხსენებულ შეხვედრაზე

განიხილებოდა ორგანიზაციების ანგარიშები, მათ წინაშე არსებული გამოწვევები და დაგეგმილი პროგრამების მიმდინარეობა. მან ყურადღება გაამახვილა საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის დანაწესზე, სადაც გათვალისწინებულია შემოდგომაზე მერის ანგარიშის წარდგენა მოსახლეობის წინაშე. შესაბამისად, ყველა მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს შეხვედრები სამსახურებსა და მუნიციპალიტეტის ორგანიზაციებთან. დამატებით აღინიშნა, რომ ხსენებული შეხვედრის ამსახველ ფოტომასალებში სააგიტაციო მოწოდება ან ამგვარი მასალის გამოყენების ფაქტი არ ფიქსირდებოდა.

ქუთაისის მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით განცხადებაში მითითებული იყო ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორგანიზებულ რამდენიმე ღონისძიებაზე (13 სექტემბერს წარჩინებულ აბიტურიენტთა დაჯილდოება, 20 სექტემბერს გამართულ „დრიფტის ლიგა 2025“-სა და 22 სექტემბერს საჯარო სკოლების პედაგოგებისათვის მადლობის სიგელებისა და ჯილდოების გადაცემა) ბატონი დავით ერემეიშვილის („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი) დასწრების შესახებ. ბატონი ნიკოლოზ როსებაშვილის განმარტებით, ბატონი დავითი იქ იმყოფებოდა როგორც ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი. ამასთან, ზემოაღნიშნული ღონისძიებები დაფინანსებულ იქნა ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე, რაც ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული და ტარდება ყოველწლიურად. ამასთან, განცხადების ავტორის მიერ წარდგენილი სოციალური ქსელის „Facebook“ ბმულებიც ცხადყოფს, რომ დამსწრე პირთა მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

შემდგომ ბატონმა ნიკოლოზმა, კასპის მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კომისიას მოახსენა, რომ კასპის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი ვახტანგ მაისურაძე, რომელიც, აგრეთვე, არის მოქმედი მერი, საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსი“ მე-2 მუხლის „ხ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირი, ესწრებოდა სახალხო დღესასწაულ „კასპობას“. მისივე თქმით, აღნიშნული დღესასწაული კასპის მუნიციპალიტეტში აღინიშნება ყოველწლიურად და ღონისძიების დაფინანსების წყარო განისაზღვრება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირებისას. საუბარი შეეხო შიდა ქართლის სპორტული თამაშობების ფესტივალსაც, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 4 წლის წინ და ყოველწლიურად ტარდება შიდა ქართლის ოთხივე მუნიციპალიტეტში. ამ შემთხვევაშიც, სააგიტაციო ქმედება არ ფიქსირდება ღონისძიებათა ამსახველ ფოტომასალებში.

ბატონმა ნიკოლოზმა კომენტარი გააკეთა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნაწილზეც, რომელიც შეეხებოდა მიმდინარე წლის 13 სექტემბერს გამართულ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საპატიო

მოქალაქისა და საპატიო ზუგდიდელის წოდების მინიჭების ცერემონიას. მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მან აღნიშნა, რომ ზემოხსენებული ცერემონია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მერიის ორგანიზებით ტარდება ყოველწლიურად. ღონისძიებას ესწრებოდნენ როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარე და პარლამენტის წევრები, მათ შორის, ბატონი დავით კოდუა, რომელიც იმ დროისთვის იყო პარლამენტის წევრი. მომხსენებლის თქმით, ბატონი დავით კოდუა ხსენებულ ცერემონიას ესწრებოდა როგორც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დელეგატი საქართველოს პარლამენტში და არა როგორც მერობის კანდიდატი. ეს წარმოადგენდა ტრადიციულ კულტურულ ღონისძიებას, სადაც მუნიციპალურ არჩევნებზე ან მერობის კანდიდატზე მიმართვა არ განხორციელებულა და არც საარჩევნო ატრიბუტიკის ან მასალის გამოყენებას ჰქონია ადგილი. როგორც ბატონმა ნიკოლოზმა განაცხადა, მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას თან ერთვის ღონისძიების სრული ჩანაწერი. მან კომენტარი გააკეთა განმცხადებლის მიერ წარდგენილ ფოტომასალასთან დაკავშირებითაც, რომელიც შეეხებოდა აღნიშნულ ცერემონიაზე დასაჯილდოებლად წარდგენილი ერთ-ერთ კანდიდატის, ბატონი ვალერი ბარაბაშის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდის დასუფთავების ცენტრის“ თანამშრომელი) საკითხს, რომელსაც აქვს 45-წლიანი გამოცდილება. ბატონი დავით კოდუა სცენიდან ჩამოსულ ვალერი ბარაბაშს შეხვდა და პირადად მიულოცა დაჯილდოება.

შემდეგ საკითხზე რუსთავის მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით (პროექტის დაწყება და ამ ღონისძიებაზე მერობის კანდიდატის დასწრება), მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალბატონი ნინო ლაცაბიძე („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი) რაგბის ახალი მოედნის მშენებლობის დაწყების ღონისძიებაში მონაწილეობდა როგორც მოქმედი მერი და ეს არ იყო დაკავშირებული წინასაარჩევნო კამპანიასთან. ბატონმა ნიკოლოზმა კვლავ მიუთითა „საქართველოს საარჩევნო კოდექსზე“, რომლის შესაბამისად, მერობის კანდიდატად დასახელების მიუხედავად, მოქმედი მერი განაგრძნობს თავის უფლებამოსილებას. მისი თქმით, ქალბატონი ნინო სწორედ ამ სტატუსით იმყოფებოდა აღნიშნულ ინფრასტრუქტურულ ღონისძიებაზე, პროექტი კი, დაგეგმილი და, მათ შორის, ტენდერიც საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე გაცილებით ადრე იყო გამოცხადებული.

ამავე განცხადების დანართებში მითითებულ რამდენიმე მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით სამსახურებრივი ავტომანქანების შესაძლო გამოყენების შემთხვევებზე ბატონმა ნიკოლოზმა განაცხადა, რომ ინფორმაცია მიეწოდა შესაბამის მუნიციპალიტეტებს, რომელთაც დაიწყეს შესწავლა და, არაუგვიანეს მომდევნო სხდომისა, იგი კომისიას დეტალურ ინფორმაციას მოაწვდის.

შემდგომ ბატონმა პაატა სალიამ ყურადღება გაამახვილა განცხადებაში მითითებულ ორ გარემოებაზე, კერძოდ, იუსტიციის სამინისტროსა და სამინისტროს წარმომადგენლების მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზე. ერთ-ერთი შეეხებოდა წალენჯიხაში იუსტიციის სახლის ასაშენებლად სიმბოლური კაფსულის ჩაშვებას. მან განმარტა, რომ ღონისძიება დაგეგმილი იყო წინასწარ და წარმოადგენს იმ საერთო პოლიტიკის ნაწილს, რომელსაც ახორციელებს იუსტიციის სამინისტრო და სსიპ „იუსტიციის სახლი". მისივე თქმით, წალენჯიხაში დიდი ხანია, არსებობს იუსტიციის სახლის აშენების მოთხოვნა და აღნიშნული ღონისძიებაც სწორედ სამინისტროს ინფრასტრუქტურული პროექტების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. მან დამატებით ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ხსენებულ ღონისძიებაზე არ ყოფილა მოწვეული არცერთი მერობის კანდიდატი, ამასთანავე, ადგილი არ ჰქონია სიმბოლიკის ან სააგიტაციო მასალის გამოყენებას. როგორც თავმჯდომარემ აღნიშნა, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" მერობის კანდიდატი მოვიდა შეხვედრაზე, თუმცა, გადამოწმებული ინფორმაციით, არ ყოფილა მოწვეული არც იუსტიციის სახლის და არც იუსტიციის სამინისტროს მიერ. ამდენად, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ამასთან, ბატონმა პაატა სალიამ კომენტარი გააკეთა ჩხოროწყუში გამართულ შეხვედრაზე, რომელიც ორგანიზებული იყო ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატის მიერ და მას სსიპ „იუსტიციის სახლის" ხელმძღვანელთან ერთად თავადაც ესწრებოდა. როგორც მან აღნიშნა, შეხვედრა დაგეგმილი იყო 19:00 საათზე, მაგრამ დაიწყო უფრო გვიან, ანუ არასამუშაო საათებში. საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა არ კრძალავს მსგავსი ტიპის ღონისძიებებში სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირისა და საჯარო მოხელის მონაწილეობას ასამაშუაო საათებში. ამდენად, მისი თქმით, დარღვევა არც ამ საკითხთან მიმართებით იკვეთება.

კომისიის თავმჯდომარემ შეაჯამა განცხადებებთან დაკავშირებული მოხსენებები და ვინაიდან რიგი საკითხებისა შეეხებოდა პედაგოგებს, მიმართა ქალბატონ თამარ მემანიშვილს (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენელ) – სურდა თუ არა ამასთან დაკავშირებით რაიმეს დამატება. მან ყურადღება გაამახვილა განცხადებაში ბატონი მალხაზ ბეგიაშვილის მიერ სიღნაღის მუნიციპალიტეტში ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოების შესახებ მოყვანილ შემთხვევაზე, რაზეც განაცხადა, რომ ეს წარმოადგენდა განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას მასწავლებლის ეროვნულ პრემიასთან დაკავშირებით, რომელიც ტარდება ყოველწლიურად სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად. მისი თქმით, სამინისტრომ დაიწყო ღვაწლმოსილ პედაგოგთა დაჯილდოება ყველა მუნიციპალიტეტის მასშტაბით და იგი განახორციელა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ბატონმა ლევან ღირსიაშვილმა. ქალბატონმა თამარმა დაამატა, რომ, აღნიშნული ღონისძიებები მიმდინარეობს 1 თვის განმავლობაში და დასრულდება 27 ოქტომბერს.

იყო შემთხვევები, როდესაც ის დაემთხვა მუნიციპალიტეტებში არსებულ შიდა ღონისძიებებს და, შესაბამისად, პედაგოგთა დაჯილდოების პროცესი წარიმართა ერთობლივად სამინისტროსა და მუნიციპალიტეტების მიერ. მან, ასევე, ყურადღება გაამახვილა დმანისის მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით იმ გარემოებაზე, რომ მოქმედი მერი, ბატონი კობა მურადაშვილი, 1-ელ სექტემბერს შეხვდა დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების დირექტორებსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელს. აღინიშნა, რომ ეს იყო სამუშაო შეხვედრა, სადაც ისაუბრეს მუნიციპალიტეტის სკოლებში არსებული გამოწვევების შესახებ. ქალბატონმა თამარმა გადამოწმებული ინფორმაციით დაადასტურა, რომ მითითებულ შეხვედრაზე საარჩევნო აგიტაციას ადგილი არ ჰქონია. მან ისაუბრა ახალციხის №5 საჯარო სკოლაში მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებითაც („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატ ვარლამ წიკლაურის მისვლა სკოლაში). მომხსენებლის თქმით, მერობის კანდიდატი თავის მშობლიურ სკოლაში ოჯახის წევრებს მიჰყვა და, როგორც ამავე სკოლის კურსდამთავრებულმა, ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა პედაგოგებსა და მოსწავლეებს, მაგრამ პოლიტიკურ განცხადებას ან საარჩევნო აგიტაციას ადგილი არ ჰქონია.

განმარტებების მოსმენის შემდეგ ბატონი პაატა სალია შეეხო მედიამონიტორინგის ფარგლებში გამოკვეთილ საკითხს პარტიის „ლელო – ძლიერი საქართველოსთვის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით (აუდიოჩანაწერი, რომელიც პარტიის მითითებით კანდიდატზე ზეწოლის ფაქტს ამტკიცებს). ბატონმა ავთანდილ კოჭლამაზიშვილმა (საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეს) განმარტა, რომ მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციით, თითქოს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან ადგილი ჰქონდა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობის კანდიდატის, ბატონი კარა ორუჯევის, მიმართ ძალადობას. ქვემდებარეობის წესით დაცვის გამოძიება დაიწყო პროკურატურის შესაბამის საგამოძიებო ნაწილში. ჩატარდა მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებებისა, მათ შორის, გამოიკითხა ბატონი კარა ორუჯევი. მან უარყო მის მიმართ რაიმე დანაშაულის, ძალადობისა და სხვა სახის კანონსაწინააღმდეგო ფაქტი. ბატონმა კარამ განმარტა, რომ პარტია „ლელო – ძლიერი საქართველოსთვის“ დატოვა საკუთარი გადაწყვეტილებით, რადგან პარტიისა და მისი პოლიტიკური ხედვები იყო განსხვავებული; კერძოდ, პარტიის წარმომადგენლების მიერ წინაასაარჩევნო პერიოდში გაცემული დაპირებები არ ითვალისწინებდა ადგილობრივი მოსახლეობის რეალურ საჭიროებებს. ამის გამო, მას, როგორც კანდიდატს, მხარდაჭერაზე უარი განუცხადეს ახლო ნათესავებმაც კი, რის გამოც გადაწყვიტა, რომ არ ღირდა, პარტიის „ლელო – ძლიერი საქართველოსთვის“ სახელით არჩევნებში მონაწილეობის მიღება; მან იქვე მიუთითა, რომ ჩანაწერი იყო დამონტაჟებული და მიზნად ისახავდა მხოლოდ მის დისკრედიტაციას. გამოძიებამ

დაადგინა აუდიოჩანაწერის ავტორი და პროკურატურამ დაიბარა გამოკითხვაზე, მაგრამ იგი არ გამოცხადდა. მისი სურვილის შემთხვევაში, ის დაიკითხება სასამართლოში.

განცხადებებთან დაკავშირებული საკითხის ამოწურვის შემდეგ ბატონმა პაატა სალიამ მიმართა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.

ბატონმა გიორგი შარაბიძემ (ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), მიმართა კომისიის წევრებს და მადლობა გადაუხადა როგორც მათ, ისე თითოეულ უწყებას, რომელიც ჩართული იყო არჩევნებისა და მისი უსაფრთხოდ ორგანიზების საკითხში. მან განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა სუბიექტებს, დამკვირვებლებს, რომლებიც არჩევნებში იყვნენ ჩართული, ასევე, მედიასა და საერთაშორისო ორგანიზაციებს. მისი თქმით, დადასტურდა, რომ, როდესაც არ არსებობს წინასწარი შეთქმულება არჩევნების დისკრედიტაციის მიზნით, არ ხდება უშინაარსო საჩივრების წარმოდგენა მხოლოდ და მხოლოდ რაოდენობისთვის, არ მიმდინარეობს საბოტაჟი კომისიის შიგნით და კომისიის წევრებიც არ არიან ორიენტირებულნი არჩევნების ჩაშლაზე, შესაძლებელი ხდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი არჩევნების ჩატარება. მან იმედი გამოთქვა, რომ ეს ახლის დასაწყისია და დამატებით აღნიშნა, რომ ეს ასე იყო გასულ წელსაც – მაშინ მხოლოდ რამდენიმე ათეული მანქანა გამოვიდა მწყობრიდან და ტექნოლოგიამ ყველასთვის შესაძლებელი გახადა არჩევნების შედეგებში დარწმუნება, თუმცა, 2024 წელს არჩევნების დაწყებისთანავე ადგილი ჰქონდა შეტევას საარჩევნო პროცესზე გარკვეული სუბიექტების მონაწილეობით. მან ყურადღება გაამახვილა, რომ, ზოგადად, ადმინისტრირების თვალსაზრისით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები არის ყველაზე რთული, რადგან მოცემულია სამი ბიულეტენი, სხვადასხვა კანდიდატები მუნიციპალიტეტების მიხედვით და ა. შ.; თუმცა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მოახერხა 45 წუთში პირველადი შედეგების ვებგვერდზე განთავსება საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომად, ხოლო საბოლოო წინასწარი შედეგები გამოცხადდა 1 საათსა და 25 წუთში, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ წამყვანი ქვეყნების საარჩევნო ისტორიაშიც, რისთვისაც ბატონმა გიორგიმ ყველას მადლობა გადაუხადა.

შემდგომ სიტყვა მოითხოვა ბატონმა გრიგოლ გაგნიძემ (ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია"). მან მიულოცა კომისიის თავმჯდომარეს, სამთავრობო უწყებებსა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არჩევნების მშვიდობიან გარემოში ჩატარება. მისი თქმით, მისი ორგანიზაცია კოალიციასთან ერთად 5000 დამკვირვებლით აკვირდებოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო პროცესის მიმდინარეობას. მან ყურადღება გაამახვილა საჩივრებთან დაკავშირებულ კითხვებზე, კერძოდ, თუ რატომ იყო მათი რიცხვი მცირე. მისი განცხადებით, ოპოზიციურ ძალებთან ასოცირებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაწერილი საჩივრები

იყო უსაფუძვლო და იურიდიულად გაუმართავი, რასაც ადასტურებს სტატისტიკა, კერძოდ, მათი უმრავლესობა არ კმაყოფილდებოდა. მან დამატებით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მათი ორგანიზაციის მიერ საჩივრები არ დაიწერა, რადგან საარჩევნო უბანზე გამოვლენილი ხარვეზები შენიშვნის შედეგად ადგილზევე აღმოიფხვრებოდა; შესაბამისად, არ იყო საჩივრით მიმართვისა და საარჩევნო უბნისა თუ ოლქის გადატვირთვის საჭიროება. ბატონმა გრიგოლმა, ასევე, მადლობა გადაუხადა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურას მათ მიერ გაწეული საქმიანობისთვის.

კომენტარი გააკეთა ბატონმა დავით მათიკაშვილმა (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“). მან მადლობა გადაუხადა იუსტიციის მინისტრს, იუსტიციის სამინისტროსა და ყველა უწყების წარმომადგენლებს, ვინც კომისიის სხდომას ესწრებოდა, ყველა დამკვირვებელსა და საარჩევნო პროცესში ჩართულ ყველა პირს, განსაკუთრებული მადლობა კი გადაუხადა ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და ქართველ ხალხს. მისი თქმით, მართალია, იყო დემოკრატიაზე თავდასხმისა და ხალხის არჩევანზე ზემოქმედების მცდელობები, მათ შორის, კონსტიტუციის გვერდის ავლით ხელისუფლების ხელში ჩაგდების, მაგრამ მათ ვერ მოახერხეს მიეღწიათ შედეგისთვის, რისთვისაც მან კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა სამართალდამცავ ორგანოებსა და ქართველ ხალხს.

ბატონმა დავით ლილუაშვილმა (ა(ა)იპ „დემოკრატიისა და უფლებების დაცვის ცენტრი“) ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ წლების განმავლობაში მცირდება საჯარო მოსამსახურეების მხრიდან საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესების დარღვევა. როგორც მან აღნიშნა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნები იყო კარგად ორგანიზებული, ჩატარდა დემოკრატიულ და თავისუფალ გარემოში, რასაც ადასტურებენ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები. იგი შეეხო 4 ოქტომბერს დღის მეორე ნახევარში განხორციელებულ მოვლენებსაც და აღნიშნა, რომ მიესალმება სამართალდამცავი ორგანოების მიერ გატარებულ ღონისძიებებსა და სახელმწიფო ინტერესების დაცვას. მისი განცხადებით, აუცილებელია მაღალი სტანდარტებითა და ადამიანის უფლებათა დაცვით საგამოძიებო მოქმედების ჩატარება დამწაშავე პირთა მიმართ.

ქალბატონმა შორენა მირცხულავამ (ა(ა)იპ „ასოციაცია თავისუფალი თაობა“) კომისიას მოახსენა, რომ ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია საქართველოს მასშტაბით აკვირდებოდა 800 საარჩევნო უბანს და ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც დარღვევის არცერთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია. მან აღნიშნა, რომ იყო მცირე ტექნიკური ხარვეზები, რაც ასახული იქნება მათ ანგარიშში. მან მადლობა გადაუხადა კომისიის თავმჯდომარესა და ყველა მონაწილეს და წარმატებები უსურვა მათ.

ბატონმა დანიელ დავითაშვილმა (ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირი") უპირველესად მადლობა გადაუხადა კომისიის სრულ შემადგენლობას თითოეული სხდომის მაღალ დონეზე ჩატარებისა და თითოეული შემოსული საკითხის ამომწურავად განხილვისთვის. ბატონმა დანიელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მაღალი სტანდარტების დაცვით ჩაატარა 2025 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ გამართლებული იყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ჩატარებული ტრენინგები, ვინაიდან საარჩევნო უბნებზე როგორც კომისიის თავმჯდომარე, ისე მისი მოადგილეები და კომისიის წევრები იყვნენ მოწოდების სიმაღლეზე. მისი თქმით, ის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგენს მოხსენებით ბარათს როგორც პირად, ისე სადამკვირვებლო ორგანიზაციის დამკვირვებელთა შენიშვნებთან დაკავშირებით. ბატონმა დანიელმა კომისიას მოახსენა რუსთავის მუნიციპალიტეტის საარჩევნო ოლქში მომხდარი ფაქტის შესახებ, როდესაც ოლქის თავმჯდომარემ ვერ უზრუნველყო აღნიშნული სადამკვირვებლო ორგანიზაციის დამკვირვებლის მონაწილეობა ქალაქ რუსთავის №16 პენიტენციურ დაწესებულებაში გახსნილ უბანზე. მან, ასევე, ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ზოგიერთი დამკვირვებელი არ იყო სათანადოდ მომზადებული, არ ჰქონდათ ინფორმაცია, თუ რის შესახებ უნდა დაეწერათ საჩივარი. მან სწორედ ამიტომ ხაზი გაუსვა ტრენინგების საჭიროებას. მისი თქმით, საჩივართა მცირე რაოდენობის გამომწვევი ერთ-ერთი ფაქტორი შეიძლებოდა ყოფილიყო სადამკვირვებლო ორგანიზაციების სიმცირე და დამკვირვებელთა სათანადოდ მოუმზადებლობა. შეჯამების სახით, მან განაცხადა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა მაღალი სტანდარტებით, რაც ერთხმად აღიარეს საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებმაც. მანვე დამატებით აღნიშნა, რომ პარტიის „ლელო – ძლიერი საქართველოსთვის" მიერ გამოყენებული ვიდეოაპარატურა მიმართული იყო მხოლოდ საარჩევნო ყუთისკენ. ამასთან დაკავშირებითაც ის თავის რეკომენდაციას წარუდგენს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რათა მომდევნო არჩევნებისთვის საკითხი იყოს გამოსწორებული და ამასთან, კომისიის თავმჯდომარის მოადგილეებს აღარ მოუხდეთ ხმის მიცემის პროცესში ჩართვა.

ბატონი დანიელის პასუხად ბატონმა გიორგი შარაბიძემ განაცხადა, რომ გადასატანი ყუთის შემოსვლისა და ბიულეტენის კაბინაში შეცურების პროცედურას განსაზღვრავს საარჩევნო კანონმდებლობა. რაც შეეხება ფოტო-ვიდეოგადაღების პროცესს, ყველა საარჩევნო უბანზე განთავსებულია მისი ჩატარების წესი, რომლის თანახმად, იქ, სადაც კამერები დგას სტაციონარულად, მათ უფლება აქვთ, გადაიღონ საარჩევნო ყუთები ისე, რომ არ გამჟღავნდეს ამომრჩევლის პერსონალური ინფორმაცია. ბატონმა გიორგიმ განაცხადა, რომ ფოტო-

ვიდეოგადაღების პროცედურის დახვეწის საჭიროების შემთხვევაში, ამ საკითხზე უნდა გაიმართოს დისკუსია. თუმცა, დამატებით აღნიშნა, რომ მსგავს საუბარს ადგილი აქვს საარჩევნო პერიოდში, მისი დასრულების შემდეგ კი ამაზე არავინ საუბრობს. მათ შორის, ბატონი გიორგის თქმით, გასულ წელს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თხოვნით მიმართა ეუთო-ოდირის მისიას, რეკომენდაციებში ჩაეწერა, თუ როგორი უნდა იყოს საარჩევნო უბანზე ფოტო-ვიდეოგადაღების წესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მათ აღნიშნული რეკომენდაცია ვერ ჩაწერეს, რადგან ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, საფრანგეთში, აკრძალულია საარჩევნო უბანზე გადაღება. როგორც ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, ის ღიაობა, რაც საქართველოს საარჩევნო პროცესს აქვს, რეგულირდება კამერების მხოლოდ საარჩევნო ყუთისკენ და არა პერსონალური მონაცემებისკენ მიმართვით. აგრეთვე, მან ხაზი, გაუსვა სადამკვირვებლო ორგანიზაციების რაოდენობის საკითხს და აღნიშნა, რომ, მაგალითად, მოლდოვაში მხოლოდ 3 ორგანიზაცია აკვირდებოდა არჩევნებს, ხოლო საქართველოში – 10-ჯერ მეტი. რაც შეეხება საჩივრების რაოდენობას, მისი თქმით, ეს არ არის რელევანტური, რადგან საჩივრების რაოდენობა არ განსაზღვრავს პროცესის ავკარგიანობას. მან კომისიას მოახსენა, რომ, შარშან შესული იყო 1200 საჩივარი, რომელთაგან, დაახლოებით, 1000 იყო უსაფუძვლო; ყველა ქვეყანაში არჩევნების მიმდინარეობისას ადგილი აქვს მცირე ან დიდ დარღვევებს, მაგრამ საკვანძოა თავად საარჩევნო პროცესის წარმართვა. ბატონმა გიორგიმ დამატებით აღნიშნა, რომ ნებისმიერი გადაცდომა, რომელზეც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივარი იქნება წარდგენილი, ღიად, ყველა ჩართული მხარის მონაწილეობით იქნება განხილული.

შემდგომ ბატონმა პაატამ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელს მიმართა არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების თარიღის დაზუსტების თხოვნით. აღნიშნულ თარიღად 19 ოქტომბერი დასახელდა. ბატონმა პაატამ კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სამაგალითოდ ჩატარებული არჩევნებისთვის. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ არჩევნების პირველადი შედეგების გამოცხადების შემდგომ მოსმენილ ინტერვიუებსა თუ კომენტარებში არჩევნების შედეგები არსად არ დგას ეჭვქვეშ, რაც ადასტურებს იმას, რომ იმ პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მიმდინარე წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, აღიარეს აღნიშნული შედეგები. აქვე ბატონმა პაატამ მაღალი პროფესიონალიზმისთვის მადლობა გადაუხადა სახელმწიფო უსაფრთხების სამსახურის, გენერალური პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს.

შეხვედრის ბოლოს კომისიის თავმჯდომარემ დამსწრე წევრებს მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის და მომდევნო სხდომის ჩატარების თარიღად, კომისიის წევრებთან შეთანხმებით, განსაზღვრა 13 ოქტომბერი.

სხდომა დასრულდა 12:08 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე: პაატა სალია

კომისიის მდივანი: ლანა მორგოშია